ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 36

(საქონლის შესყიდვა)

ქ. ფოთი 25 ნოემბერი 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

1.1 ერთის მხრივ, ა(ა)იპ თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი მისი დირექტორის გრიგოლ გაგუას სახით, (მის: კოსტავას №6, ტელ: 22-09-61) შემდეგში „შემსყიდველი", და მეორეს მხრივ შპს "პონტო კოლხი" მისი დირექტორის ზურაბ ხორავას სახით (მის: ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქუჩა№10 ტელ: (0493) 22-53-72) შემდეგში „მიმწოდებელი", - ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

„შემსყიდველი" თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შეისყიდის, ხოლო „მიმწოდებელი" მიაწოდებს ქსოვილის ნივთებს .

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება, კლასიფიკატორის კატეგორია

2.1 ობიექტის დასახელება - ქსოვილის ნივთები.
2.2 შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა.
შესყიდვის კატეგორია -39500000

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 თვითმმართველი ქ. ფოთის საგამოფენო დარბაზი შეისყიდის ქსოვილის ნივთებს, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს (იხ. დანართი №1) საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:
- საქონლის მიწოდება - 2016 წლის 25 ნოემბერი.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველის უფლებამოსილ პირს, შესაბამისი დოკუმენტაცია (მიღება-ჩაბარების აქტი, სასაქონლო ზედნადები , ანგარიშ-ფაქტურა).

5. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

5.1 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს ამ სფეროში არსებულ, საქართველოში მოქმედ სტანდარტებს, ხელშეკრულების პირობებს და შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა

6.1 ხელშეკრულების კონკრეტული მოქმედების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

7. შესყიდვის ობიექტის ანგარიშსწორების ფორმა და მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზის დირექტორი.
7.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება - ლარებში.
7.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით – (გადარიცხვა).
7.4. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება მოწოდებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტი, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
9.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა 10 (ათი) დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
9.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. სხვა პირობები

10.1 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ფოთის საგამოფენო დარბაზი.
10.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან.
10.3 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ თვითმმართველი ქ. ფოთის
საგამოფენო დარბაზი
ს/კ №215141889
სახელმწიფო ხაზინა
ხ/კ № TRESGE22

„მიმწოდებელი“

შპს „პონტო კოლხი“

ს/კ №415087006
ს.ს. „საქართველოს ბანკის“ ფ/ფ
ბ/კ № BAGAGE22
ა/ა № GE54BG0000000292546600

დირექტორი ბ. გაგუა

დირექტორი ზ. ხორავა

საქონლის ფასებისა და მიწოდების გრაფიკი

№	საქონლის დასახელება	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი ლარებში	საერთო ღირებულება ლარებში	მიწოდების ადგილი და ვადა
1	მინის საწმენდი ტილო	4ც.	1,5	6,00	თვითმმ. ქ. ფოთის
2	მაგიდის საწმენდი ტილო	4ც.	2.5	10,00	საგ. დარბაზი
3	იატაკის საწმენდი ტილო	4ც.	6	24	2016 წლის
					31 დეკემბრამდე
	სულ:			40,0	

ა(ა)იპ თვითმმართველი ქ. ფოთის
საგამოფენო დარბაზის
დირექტორი

გ. გაგუა

შპს „პონტო კოლხი"

ზ. ხორავა